სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №22

ლანჩხუთი ქვიანი 18 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ რუსლან წულაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის ნუნუ თავაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „არტ ალიანს ირიდა" დირექტორი გივი მესხის (შემდგომში „მიმწოდებელი'') სახით, საქართველოს "სახელწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას „დამკვეთის" მოთხოვნის საფუძველმე დაამზადოს სკოლის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით სკოლის აბრა (სარეკლამო მასალა) , რომლის ღირებულებაც შეადგენს 110(ასათი) ლარს. CPV კოდი: 22400000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს --110(ასათი) ლარს.
საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები